

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მაია ჩხარტიშვილის

ანგარიში

30 ოქტომბერი 2017 წელი.

ანგარიში მოიცავს 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 2017 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს.

როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ახორციელებდა შემდეგ საქმიანობას:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირებაში მონაწილეობა;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა;
- დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/ თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;
- ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა.

2015 წლის 7 მაისიდან ვარ სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. კომისიამ ამ ხნის მანძილზე კომისიის სხდომაზე განიხილა გეგმით გათვალისწინებული 26 საკითხი, 2017 წლის თებერვალი-7 საკითხი, მარტი-2 საკითხი, აპრილი-1 საკითხი, მაისი-3 საკითხი, ივნისი-5 საკითხი, ივლისი-2 საკითხი, აგვისტო-1 საკითხი, სექტემბერი-5 საკითხი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მოისმინა და განიხილა 4 საკითხი, მათ შორის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების უფროსების ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ.

ამ ხნის მანძილზე სისტემატიური ურთიერთობა ჰქონდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელებთან, იღებდა ინფორმაციებს აიპიების ხელმძღვანელებისაგან და სამსახურების უფროსებისაგან. კომისიის მოთხოვნით განხორციელდა არაერთი ცვლილება 2017 წლის ბიუჯეტში პროგრამული დაფინანსების კუთხით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მაქვს მიღებული: 2017 წელს - 34 დადგენილებისა და 80 - განკარგულების პროექტის განხილვაში.

ყოველდღიურ რეჟიმში ვხვდებოდი ამომრჩეველებს, სოციალურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ პრობლემებისა და საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

კომისიაში ამ ხნის მანძილზე შემოსულია განცხადებები და წერილები, რომელზეც ხდება დროული რეაგირება.

1) ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასთან ერთად შედგა არაერთი შეხვედრა პალიასტომის ტბისა და მდინარე რიონის მეთევზეებთან. მათი პრობლემების გათვალისწინებითა და წინადადებებით ხდება საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა რეგლამენტში.

2) შედგა შეხვედრები სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში. ადგილზე მისვლით დათვლიერდა დაწესებულებების ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურა. მოეწყო შეხვედრა გაერთიანების ხელმძღვანელებთან (გამგებთან და პედაგოგებთან).

3) ყოველდღიურ რეჟიმში ხდება შეხვედრები სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან.

4) შედგა არაერთი შეხვედრა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

5) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მიმდინარეობს ახალ პროექტებზე მუშაობა, კერძოდ ემერჯენსის სამსახურის შექმნა, ახალგაზრდული ცენტრის ჩამოყალიბება და დღის ხანდაზმულთა ცენტრის შექმნა.

საკრებულოს წევრი

მაია ჩხარტიშვილი

